

ჭარბვალთანობის საკითხის გააზრებისათვის

მირზა ხიდაშელი

ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი, ასოცირებული პროფესორი
ქუთაისის უნივერსიტეტი, საქართველო
mirza.khidasheli@unik.edu.ge

<https://doi.org/10.35945/gb.2018.05.017>

ნიკო ჩიხლაძე

ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი,
საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, საქართველო
nikoloz.chikhladze@atsu.edu.ge

საკვანძო სიტყვები: ჭარბვალთანობა, რეგულირება, კრიზისი

ჭარბვალთანობა, ანუ კრედიტის „ჭარბწარმოება“ თანამედროვე საკრედიტო სისტემის სახასიათო შტრიხია. მისი შედეგები ფართოდ არის წარმოდგენილი ლოკალურ, რეგიონულ თუ გლობალურ ეკონომიკაში.

ჭარბვალთანობა მძიმე საფინანსო-ეკონომიკური კრიზისების გამომწვევ მთავრად გვევლინება. მიუხედავად რეგულირების მეთოდებისა, რომელსაც თანამედროვე „მეინსტრუმენტი“ თეორია და პრაქტიკა პრობლემის აღმოსაფხვრელად იყენებს, იგი კვლავ ახალი გამოწვევების წინაშე აყენებს მარეგულირებელ ინსტიტუტებს, რომელთა ყურადღების მიღმა პერმანენტულად რჩება ამ პროცესის მთავარი საკითხი: მოთხოვნის (და არა მოთხოვნილების) ეკონომიკაში, ისეთ დეფიციტურ რესურსზე როგორც ფული და დანაზოგებია, როგორც ყალიბდება კრედიტის „ჭარბწარმოება“.


ეკონომიკის ჭარბვალთანობის ფუნდამენტურ მიზეზს ნაწილობრივი დარეგულირების სისტემა აყალიბებს. თანამედროვე მსოფლიოს საფინანსო კანონმდებლობის მიხედვით, საბანკო დეპოზიტზე განთავსებული თანხა აღარ წარმოადგენს დეპოზიტორის საკუთრებას. იგი უკვე ბანკს ეკუთვნის და დეპოზიტორი სანაცვლოდ იღებს აქტივს, რომელსაც ეწოდება სადეპოზიტო ანგარიში (მიმდინარე ან შექმნახველი). აღნიშნული დეპოზიტი ბანკის ბალანსში აისახება როგორც ვალდებულება, რომლის საფუძველზეც ბანკს აქვს ლეგალური უფლება მინიმალური სარეგულირებო მოთხოვნის დაცვით გასცეს სესხები. 10%-იანი დარეგულირების პირობებში, ბანკს ლეგალიზებული უფლება აქვს მის მიმდინარე და სადეპოზიტო ანგარიშებზე არსებული რესურსებიდან „შექმნას“ 10-ჯერ უფრო დიდი რაოდენობის სესხი. სწორედ ასე „იბადება“ „ჭარბი“ რაოდენობის კრედიტი, რაც ქმნის ჭარბვალთანობის განვითარების შესაძლებლობას ეკონომიკაში.

ნაწილობრივი დარეგულირების სისტემის თეორიული საფუძვლების გაუმართაობა, მხოლოდ ზემოაღნიშნული ეკონომიკური და საფინანსო ხასიათის ხარვეზებით არ შემოიფარგლება. სისტემას მნიშვნელოვანი სამართლებრივი ტიპის ხარვეზები აქვს, რომელიც განაპირობებს კიდევ მის შიგა წინააღმდეგობებსა და კრიზისულ ბუნებას, რაც პერიოდულად ვლინდება კაცობრიობის საფინანსო ცხოვრებაში.[6, გვ.4]

ფულად-საკრედიტო ურთიერთობებში არსებული წინააღმდეგობრივი მოცემულობა ქმნის ჭარბვალთანობის პრობლემას, ხოლო მისი რეგულირება არადეკლარირებული შემოსავლების საფუძველზე სესხების გაცემის შეზღუდვით შეუძლებელია. ჭარბვალთანობის პრობლემა პერიოდულად ვლინდება ნაწილობრივი დარეგულირების სისტემის მქონე ყველა საბანკო სისტემაში და მისი ნათელი მაგალითია 2008 წლის საფინანსო კრიზისი, როელიც წარმოებული ფასიანი ქაღალდების ბაზარზე განვითარდა და გლობალური საფინანსო სისტემა მოიცვა. პრობლემა, რომელსაც კრედიტისა და დეპოზიტის კატეგორიების აღრევა იწვევს, სხვადასხვა ფორმით ავლენს თავს, ზოგჯერ საფონდო ბირჟაზე, რაც შემთხვევებში საკრედიტო ბაზარზე, თუმცა ეს მხოლოდ არსებითი პრობლემის გამოვლინებებია და არა თავად პრობლემა.

საზოგადოდ, ეკონომიკის მიერ აღებული ვალდებულებების მოცულობის შესაფასებლად, მნიშვნელოვანია, ამავე ეკონომიკის მიერ წლის განმავლობაში შექმნილი პროდუქციისა და მომსახურების ჯამური ღირებულება შევადაროთ, ამავე პერიოდში აღებულ საკრედიტო ვალდებულებების ჯამს.

სესხების თანაფარდობა მშპ-თან 2011-2017 წლებში (%) [2]



როგორც ზემოთ მოცემულ დიაგრამაზე ჩანს (იხ. იხ. დიაგრამა 1) 2011-2017 წლებში, ფინანსური სიღრმის ეს პარამეტრი, საშუალოდ 9,4%-ით იზრდებოდა. პიკი დაფიქსირდა 2014 წელს - ზრდამ შეადგინა 14,7%, ხოლო 2017 წელს -3,2%-ს. თუ ფინანსური სიღრმის ზემოაღნიშნული პარამეტრის გასული წლის დონესა და ტრენდს შევადგინებთ, შეიძლება დავასკვნათ, რომ ეკონომიკის ჭარბვალიანობა არ იკვეთება. შედარებისთვის შეგვიძლია მოვიყვანოთ სამხრეთ კორეის, იაპონიის, ჰოლანდიის, აშშ-სა და სხვა განვითარებული ქვეყნების მაგალითები სადაც, ფინანსური სიღრმის ანალოგიური პარამეტრი, რიგ შემთხვევებში, არათუ 100%-იან, არამედ 200%-იან ნიშნულსაც კი აჭარბებს. [1]

განვიხილოთ სახელმწიფოს სუვერენული ვალის თანაფარდობა მშპ-თან სახელმწიფოს სუვერენული ვალის თანაფარდობის დინამიკა. ეს მოგვცემს საშუალებას შევადგინოთ ჭარბვალიანობის კიდევ ერთი გამოვლინება, რომელსაც განსაკუთრებით ხშირად ვხვდებით საფინანსო-ეკონომიკური კრიზისების ფონზე. როგორც წესი, ეკონომიკის ანტიციკლური რეგულირებისა და ეკონომიკის სტიმულირებისთვის ხშირად იყენებენ ფისკალურ ინსტრუმენტებს, რომელიც იწვევს საბიუჯეტო დანახარჯების ზრდას, რაც კრიზისის შედეგად შენელებული ეკონომიკური ზრდის გამო, ხშირ შემთხვევაში, სწორედ სუვერენული ვალის ზრდის ხარჯზე ფინანსდება. [7, გვ.23]

ფინანსთა სამინისტროს მონაცემებით, 2012-2017 წლებში საქართველოს სუვერენული ვალი საშუალოდ 4,7%-ით იზრდებოდა. 2015 წელს დაფიქსირდა ყველაზე მაღალი ზრდა 14%-ის ოდენობით, ხოლო მომდევნო წელს

აღნიშნული ტემპი თითქმის განახევრდა და 7,2% შეადგინა (იხ. დიაგრამა 2). ისევე როგორც კერძო სექტორის შემთხვევაში, საქართველოს სახელმწიფოს სუვერენული ვალის მაჩვენებელი ახლოსაც არ არის იმ კრიტიკულ ნიშნულთან, რომლის შემდეგაც შესაძლებელია ჭარბვალიანობის დაშვება. თუმცა, კერძო სექტორის საკრედიტო ვალდებულებებისაგან განსხვავებით, საქართველოს სახელმწიფო ვალის ზედა ზღვარი განსაზღვრულია საქართველოს კანონმდებლობით, რომლის მიხედვითაც სახელმწიფო ვალის შეფარდება მთლიან შიდა პროდუქტთან არ უნდა აღაჭარბებდეს 60%-ს. [5]


კერძო და სახელმწიფო სექტორების ჭარბვალიანობის ზოგადი ანალიზის შემდეგ, მიზანშეწონილია გამოვიკვლიოთ აღნიშნული პრობლემა ეკონომიკის შემადგენელი სექტორებისათვის, რადგან შესაძლოა ეკონომიკის ზოგადი სურათი პრობლემასთან მიმართებით იყოს დამაკმაყოფილებელი, თუმცა მისი კონკრეტული სექტორი მაინც განიცდიდეს ჭარბვალიანობის პრობლემას.

2012-2017 წლებში, ეკონომიკის დაკრედიტების სტრუქტურა, სამეწარმეო და შინამეურნეობების თვალსაზრისით საყურადღებო ტენდენციით ხასიათდება. თუ 2012 წელს თანაფარდობა სამეწარმეო სექტორის სასარგებლოდ იყო, 2017 წლისათვის სესხების სტრუქტურაში შინამეურნეობების წილი გაიზარდა (იხ. დიაგრამა N3)

2012-2017 წლებში შინამეურნეობებზე გაცემული სესხების მოცულობა 3,6 მლრდ. ლარიდან 11,7 მლრდ ლარამდე გაიზარდა ხოლო, სამეწარმეო სექტორზე გაცემული სესხების მოცულობა 4,7 მლრდ. ლარიდან 9 მლრდ ლარამდე.


საქართველოს სუვერენული ვალის დინამიკა
2012-2017 წლებში, % [3]

დიაგრამა N2. სახელმწიფოს სუვერენული ვალი / მშპ (%)



2012-2017 წლებში გაცემული სესხების სტრუქტურა [2]

დაგრამა N3. სესხების სტრუქტურა (%)



შინამეურნეობებზე დაკრედიტების 300%-ით ზრდა, ცხადია იწვევს ინტერესს მაშინ, როცა საქართველოს ეკონომიკურ საზღვრებში შექმნილ დამატებით ღირებულებაში ინდივიდუალური მეწარმეების წილი მიზერულია და 2010-2016 წლებში უმნიშვნელოდ (1,4%-იდან 3,5%-მდე) გაიზარდა. თუმცა, იმავე პერიოდში, დამატებული ღირებულების აბსოლუტური პარამეტრი თითქმის 40%-ით არის გაზრდილი. შესაბამისად, შინამეურნეობების ხვ. წილი ეკონომიკაში ბევრად უფრო ნაკლებად (დაახლოებით 13-ჯერ) იზრდება ვიდრე თავად ეკონომიკა. აქედან გამომდინარე, უკვე ცხადია თუ რა მიზეზმა გამოიწვია ეროვნული ბანკის გადაწყვეტილება, რომ გადამხდელუნარიანობის სრულფასოვანი ანალიზის გარეშე გაცემული ყველა სესხის საერთო თანხა (გარდა ძვირფასი ქვებითა და ლითონებით ან უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხების, უზრუნველყოფის ღირებულების

ფარგლებში არსებული სესხის თანხისა) არ უნდა აღემატებოდეს ბანკის საზედამხებელო კაპიტალის 25%-ს.

საკითხის შესწავლამ ცხადყო, რომ ეროვნული ბანკის შეშფოთება, შინამეურნეობების ზრდის ტემპსა და მათი დაკრედიტების ტემპს შორის არსებულ დისპროპორციასთან დაკავშირებით აბსოლუტურად ბუნებრივია. თუმცა რა შედეგს გამოიღებს მის მიერ დადგენილი ახალი რეგულაცია, სწორედ ეს არის არსებითი მსჯელობის საგანი ჭარბვალთანობის აღმოფხვრის მიმართულებით.

მიგვაჩნია რომ არსებული რეგულაციით უნდა ველოდოთ შემდეგი სცენარის განვითარებას:

- მოცემული რეგულაცია გამოიწვევს ჩრდილოვან ეკონომიკაში ოპერირებადი შინამეურნეობების გამოსვლას „ჩრდილიდან“. თანამედროვე სოციალურ კრედიტი წარმოადგენს, ბიზნეს ოპერატორის ფუნქციონირების განუყოფელ

ცხრილი 1: შექმნილი დამატებული ღირებულება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიხედვით (მლნ. ლარი) [4]

წლები	დამატებული ღირებულება სულ	დამატებული ღირებულება ი/მ
2010	6 703,2	92,7
2011	9 253,7	257,0
2012	11 190,7	314,0
2013	12 139,1	334,4
2014	12 849,4	381,0
2015	14 761,0	476,2
2016	16 772,4	586,0

ნაწილს. თუ, რეგულაციის შემოღებამდე, შინამეურნეობათა ნაწილი ახერხებდა, მიეღო თავისუფალი წვდომა კრედიტზე, იმ პირობებში როცა იგი არ აფიქსირებდა რეალურ შემოსავლებს, რეგულაციის ამოქმედების შემდეგ ეს პროცესი შეუძლებელი გახდება. შესაბამისად, მსგავსი ბიზნეს ფილოსოფიის მქონე სუბიექტს მოუწევს, მისი შემოსავლების სრულად ან უმეტესწილად დაფიქსირება სახელმწიფოს წინაშე.

- მოკლევადიან პერიოდში უნდა ველოდოთ პროდუქციისა და მომსახურების მოხმარების შემცირებას, რომელსაც შინამეურნეობები კრედიტის საფუძველზე აფინანს-

სებდნენ. შესაბამისად, ეკონომიკის რიგი სექტორებისთვის, ზემოაღნიშნული რეგულაცია შესაძლოა მნიშვნელოვანი სტრეს-ტესტი აღმოჩნდეს.

- მთლიან საკრედიტო პორტფელში შინამეურნეობების წილის გათვალისწინებით, ახალი რეალობა შესაძლოა მტკივნეული აღმოჩნდეს საკრედიტო ინსტიტუტების ნაწილისთვის მოკლევადიან პერიოდში. განსაკუთრებით, ეს ეხება საკრედიტო ორგანიზაციებს, რომელთა ძირითადი მომხმარებელიც არადეკლარირებადი შემოსავლების მქონე პირები წარმოადგენენ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. მსოფლიო ბანკი - <https://data.worldbank.org/indicator/FS.AST.PRVT.GD.ZS>
2. საქართველოს ეროვნული ბანკი - www.nbg.gov.ge
3. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო - www.mof.ge
4. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური - www.geostat.ge
5. საქართველოს კანონი „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ“ (მეორე მუხლის „გ“ პუნქტი).
6. ხიდაშელი მ., « ნაწილობრივი დარგებრების სისტემის ფუნდამენტური პრობლემები. საერთაშორისო სამეცნიერო პრაქტიკული კონფერენციის „თანამედროვე განვითარების ეკონომიკური, სამართლებრივი და სოციალური პრობლემები — 2015» შრომების კრებული. ქუთაისი, 2015. <https://atsu.edu.ge/EJournal/BLSS/eJournal/Papers/KhidasheliMirza.pdf>
7. Чихладзе Н., Хидашели М.К вопросу осмысления природы бизнес-цикла. Журнал «Интеллект. Инновации. Инвестиции». №3, 2015.

ON THE ISSUE OF EXCESSIVE INDEBTEDNESS

MIRZA KHIDASHELI

Doctor of Business Administration,
Associate Professor, Kutaisi University, Georgia
mirza.khidasheli@unik.edu.ge

<https://doi.org/10.35945/gb.2018.05.017>

NIKO CHIKHLADZE

Doctor of Economic Sciences,
Professor, Akaki Tsereteli State University, Georgia
Academician of the Academy of Economic Sciences of Georgia, Georgia
nikoloz.chikhladze@atsu.edu.ge

KEYWORDS: EXCESSIVE INDEBTEDNESS, REGULATION, CRISIS

SUMMARY

Excessive indebtedness, or the “overproduction” of credits, is a feature of the modern credit system. Its results are commonly encountered in the local, regional or global economies. It appears before us as a cause of a severe financial and economic crisis. Despite the regulation methods using in the modern «mainstream» theory and practice to address the existing problems, it is still posing the new challenges for the regulatory institutions, beyond the focus of which, one main issue remains permanently: how the “overproduction” of credits is created in demand economics (but not in need economics) on such scarce resources as money and savings.

Over the past few years, in the composition of bank loan portfolio of the Georgian banking sector, there has been significantly strengthened and increased the share of loans to natural persons, while the share of the local economy in GDP is almost non-existent and stays in the low single digits. Obviously, the process was observed by the National Bank, and based on the theoretical foundations of its functioning it has adopted a new regulatory norm.

The article dwells on studying, the process of the “overproduction” of credits and the causes of the causes, as well as the main aspects of a new regulation set out by the National Bank of Georgia and the expected outcomes, and the relevant conclusions have been made.